

სს „Portal“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
რიგების შენიშვნები	4
1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	4
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. ამონაგები რეალიზაციიდან	9
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9
7. სხვა საოპერაციო შემოსავალი	9
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9
9. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	10
10. ძირითადი საშუალებები	11
11. საინვესტიციო ქონება	12
12. მარაგები	12
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
14. ფული და ფულის ექვივალენტები	13
15. კაპიტალი	13
16. გადასახადები	13
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13

სს "Portal"

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები რეალიზაციიდან	5	-	186,368,842
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	-	(179,542,284)
საერთო მოგება		-	6,826,558
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	1,688,749	1,191,426
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,191,181)	(3,152,302)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(50)	(2,731)
საოპერაციო მოგება		497,518	4,862,951
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	9	250,689	(476,887)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება		-	16,553
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(16,626)	(52,689)
მოგება დაბეგვრამდე		731,581	4,349,928
მოგების გადასახადი		(154,871)	(543,911)
წლის სრული შემოსავალი		576,710	3,806,017

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 29 სექტემბერს:

ნოდარ ხუბაშვილი
დირექტორი

სს "Portal"

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები რეალიზაციიდან	5	-	186,368,842
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	-	(179,542,284)
საერთო მოგება		-	6,826,558
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	1,688,749	1,191,426
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,191,181)	(3,152,302)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(50)	(2,731)
საოპერაციო მოგება		497,518	4,862,951
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	9	250,689	(476,887)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		-	16,553
მიღებული მოგება			
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(16,626)	(52,689)
მოგება დაბეგვრამდე		731,581	4,349,928
მოგების გადასახადი		(154,871)	(543,911)
წლის სრული შემოსავალი		576,710	3,806,017

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 29 სექტემბერს:



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	1,191,195	1,232,134
საინვესტიციო ქონება	11	5,806,023	5,147,062
არამატერიალური აქტივები		4,867	5,263
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,002,085	6,384,459
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	60,438	35,602
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	1,165,208	139,387
საგადასახადო აქტივი	16	24,554	-
გაცემული სესხი		9,176	3,296,599
ფული და ფულის ექვივალენტები	14	868	171
სულ მიმდინარე აქტივები		1,260,244	3,471,759
სულ აქტივები		8,262,329	9,856,218
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	4,000	4,000
გაუნაწილებელი მოგება	15	7,702,671	8,002,762
სულ კაპიტალი		7,706,671	8,006,762
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხი		-	-
საგადასახადო ვალდებულებები	16	-	1,647,842
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	555,658	201,614
სულ მიმდინარე ვალდებულებები		555,658	1,849,456
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		8,262,329	9,856,218

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწედბო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2018	298,805	9,217,639	9,516,444
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	(294,805)	-	(294,805)
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	3,806,017	3,806,017
დივიდენდის გამოცხადება	-	(5,020,894)	(5,020,894)
31 დეკემბერი 2019	4,000	8,002,762	8,006,762
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	576,710	576,710
დივიდენდის გამოცხადება	-	(876,801)	(876,801)
31 დეკემბერი 2020	4,000	7,702,671	7,706,671

1. კორპორატიული ინფორმაცია

სს „Portal“ (შემდგომში კომპანია) არის სააქციო საზოგადოება. იგი დაარსდა 2013 წლის აპრილში და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404989241.

ძირითადი საქმიანობა. 2019 წლის განმავლობაში კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა ნავთობპროდუქტების (ბენზინი, დიზელი) შეძენა და საბითუმო რეალიზაცია ცენტრალიზებულად ან მითითებულ მისამართებზე. პროდუქცია კომპანიის მიერ იყიდება მთელი საქართველოს მასშტაბით.

2020 წლიდან კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ბენზინგასამართი სადგურების ფლობა და მათი იჯარით გაცემა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გამრეკელის ქ., №19. კომპანიის ძირითადი ბაზა და საქმიანობის ადგილი მდებარეობს გარდაბნის რაიონში, სოფელ მარტყოფში, ვაზიანში.

კომპანიის მეწილეები: საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მეწილეებს წარმოადგენდნენ:

ნოდარ ხუბაშვილი – 50%

შალვა ხუბაშვილი – 50%

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიის სამართლებრივი ფორმა იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 2021 წელს კომპანიამ შეიცვალა სამართლებრივი ფორმა და გახდა სააქციო საზოგადოება.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საეჭვო ვალები. საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მიწა და შენობა ნაგებობები	14-20
ავტოები და რეზერვუარები	5-7
მანქანა-დანადგარები	2-6
სატრანსპორტო საშუალებები	2-5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7
სხვა ძირითადი საშუალებები	5

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვისთვის ის საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ფასდება რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა დანარჩენი საინვესტიციო ქონება აღრიცხება თვითღირებულებით, ძირითადი საშუალებების შემდგომ აღრიცხვაში გამოყენებული პოლიტიკის შესაბამისად. კომპანიას საინვესტიციო ქონება აღრიცხული აქვს თვითღირებულებით.

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ბუღალტრული პროგრამა	5-10 წელი
სხვა	5-10 წელი

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღრიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. 4.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ამონაგები რეალიზაციიდან

	2020	2019
ამონაგები დიზელის რეალიზაციიდან	-	121,310,200
ამონაგები რეგულარის რეალიზაციიდან	-	51,612,690
ამონაგები პრემიუმის რეალიზაციიდან	-	13,445,952
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	-	186,368,842

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს საწვავის შეძენის ღირებულებას და ტრანსპორტირების ხარჯს.

7. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2020	2019
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	1,622,636	1,098,935
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	-	67,674
სხვა საოპერაციო შემოსავალი	66,113	24,817
სულ საოპერაციო შემოსავალი	1,688,749	1,191,426

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ცვეთა და ამორტიზაცია	(551,327)	(494,912)
შრომის ანაზღაურება	(226,630)	(327,650)
საიჯარო ქირა	(153,097)	(179,703)
საგადასახადო ხარჯი	(56,442)	(81,890)
რემონტის ხარჯი	(24,025)	(65,410)
სადაზღვეო ხარჯი	(22,813)	(26,711)
საწვავის ხარჯი	(22,704)	(28,785)
კომუნალური ხარჯები	(22,353)	(19,283)
საოფისე ხარჯი	(21,205)	(2,572)
საკონსულტაციო ხარჯები	(7,797)	(60,578)
კომუნიკაციის ხარჯები	(3,451)	(4,166)
ბანკის საკომისიო	(1,197)	(4,392)
სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(78,140)	(1,856,250)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,191,181)	(3,152,302)

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)

	2020	2019
ფინანსური შემოსავალი	256,705	-
საპროცენტო ხარჯი	(6,016)	(466,837)
სესხის საკომისიო	-	(10,050)
სულ ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	250,689	(476,887)

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავზები და რეზერვუარები	მანქანა- დანადგარები და სხვა აღჭურვილობა	კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
31 დეკემბერი, 2018	1,928,723	1,052,439	506,315	77,946	7,547	134,091	218,922	3,925,983
შემოსვლა წლის განმავლობაში	14,326	104,146	-	3,534	30,559	-	-	152,565
საინვესტიციო ქონებად რეკლასიფიკაცია	(1,943,049)	-	-	(2,147)	-	(1,061)	(72,483)	(2,018,740)
31 დეკემბერი 2019	-	1,156,585	506,315	79,333	38,106	133,030	146,439	2,059,808
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	329,573	-	2,199	-	-	237	332,009
გასვლა	-	(7,000)	-	(2,644)	-	-	-	(9,644)
31 დეკემბერი 2020	-	1,479,158	506,315	78,888	38,106	133,030	146,676	2,382,173
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი, 2018	(164,089)	(297,694)	(118,300)	(29,868)	(7,088)	(16,585)	(42,612)	(676,236)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(171,002)	(81,135)	(15,088)	(4,704)	(15,415)	(31,391)	(318,735)
გასვლები	164,089	-	-	2,147	-	1,061	-	167,297
31 დეკემბერი, 2019	-	(468,696)	(199,435)	(42,809)	(11,792)	(30,939)	(74,003)	(827,674)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(213,143)	(86,196)	(14,038)	(4,584)	(19,955)	(29,020)	(366,936)
გასვლები	-	2,800	-	832	-	-	-	3,632
31 დეკემბერი 2020	-	(679,039)	(285,631)	(56,015)	(16,376)	(50,894)	(103,023)	(1,190,978)
ნარჩენი ღირებულება								
31 დეკემბერი, 2019	-	687,889	306,880	36,524	26,314	102,091	72,436	1,232,134
31 დეკემბერი, 2020	-	800,119	220,684	22,873	21,730	82,136	43,653	1,191,195

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	ავტო გასამართი სადგურები	სულ
31 დეკემბერი, 2018	1,165,669	-	1,434,854	2,600,523
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-
მიწა და შენობა-ნაგებობების კატეგორიებიდან გადმოტანილი ქონება	1,145,632	1,808,231	5,557	2,959,420
31 დეკემბერი 2019	2,311,301	1,808,231	1,440,411	5,559,943
შემოსვლა წლის განმავლობაში	578,057	-	263,955	842,012
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	2,889,358	1,808,231	1,704,366	6,401,955
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი, 2018	-	-	(73,922)	(73,922)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(255,988)	(82,971)	(338,959)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	-	(255,988)	(156,893)	(412,881)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(96,716)	(86,335)	(183,051)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	-	(352,704)	(243,228)	(595,932)
ნარჩენი ღირებულება				
31 დეკემბერი, 2019	2,311,301	1,552,243	1,283,518	5,147,062
31 დეკემბერი, 2020	2,889,358	1,455,527	1,461,138	5,806,023

12. მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნედლეული და მასალები	35,601	35,602
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	24,837	-
სულ მარაგები	75,430	35,602

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	28,705	98,605
გადახდილი ავანსები	1,136,503	40,782
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,165,208	139,387

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ბალანსზე არსებული ფული წარმოადგენს ბანკში, მიმდინარე ანგარიშზე განთავსებულ თანხას ეროვნულ ვალუტაში.

15. კაპიტალი

კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგება/ზარალისა და საწესდებო კაპიტალისგან.

საწესდებო კაპიტალმა 2020 წლის 31 დეკემბრის მდოგმარეობით შეადგინა 4,000 ლარი

დამფუძნებლებს შორის წილობრივი გადანაწილება პერიოდების მიხედვით არის შემდეგი:

მფლობელი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნოდარ ხუბაშვილი	50%	50%
შალვა ხუბაშვილი	50%	50%

16. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	555,028	200,175
გადასახდელი ხელფასები	250	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	380	1,439
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	555,658	201,614